# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 21 იანვარი, 2012 წელი.

№13 (6890)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge   ვებ გვერდი: www.open.ge   ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

## ილია მეორემ ნათლულებს დარიგებით მიმართა



სრულიად საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ მრევლს ნათლისღების დღესასწაული მიულოცა და ნათლულებს დარიგებით მიმართა:

— პატრიარქის ნათლულობა დიდი პასუხისმგებლობაა, ნათლულმა უნდა დაიცვას მცნებები, აკეთოს სიკეთე, არ უპასუხოს ბოროტებას ბოროტებით, მოერიდოს მრუშობას და ლოთობას, უყვარდეს საქართველო, იკითხოს ისტორიული და ფილოსოფიური წიგნები, რაც მას ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევაში დაეხმარება. ასევე, გაეცნოს ადათ-წესებს, იცოდეს საკუთარი ფესვები და ის, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა; არ გაიტაცოს უცხო ქვეყნის ფსევდოკულტურამ, მაგრამ არც ვიწრო ჩარჩოებში ჩაიკეტოს; ნუ იქნება ზედმეტად ლიბერალი ან უხეში ფანატიკოსი, არც კატეგორიულად მოაზროვნე, არამედ აირჩიოს ოქროს შუალედი; შექმნას ქრისტიანული ოჯახი და იყოლიოს იმდენი შვილი, რამდენსაც უფალი მისცემს, და ხშირად იაროს ეკლესიაში. შენს თავს, შენს მშობლებს, და-ძმებს, შენს ოჯახს ვაბარებ მაცხოვარს და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელ დედას. მე ვლოცულობ შენთვის, შენ ილოცე ჩემთვის და მე შეგეწევი ორთავე სოფელსა შინა, — ბრძანებს ილია მეორე.



უწმინდესის ნათლულებისადმი დარიგების ტექსტი არქიდიაკონმა დემეტრემ წაიკითხა.

## რეიტინგი, სიდედრები და „რუსთავი-2“-ები

2

რატომ აჯობებდა, რომ ორივე „პირველადგილოსანი“ წყალში... დაგვებანინა!

## ფასებით აშშ-ს უკვე ვუსწრებთ,



4

## ხელფასებით კი...

## საქართველოში სამართალი უნდა დავაბრუნოთ, და ეს ყველამ ერთად უნდა შევძლოთ!

6



9

## თურმე ტყუილებს გვასწავლიდნენ

## კავკასიაში წვრთნებით მოსკოვი აშშ-ისრაელის მხრიდან ირანზე შესაძლო დარტყმისთვის ემზადება

8

## ჯაბა იოსელიანის ჯერიც დადგა...

5



„ქართული ოცნების“ პრესსამდივნო

# „იგრიკა“ ეკატერინე ხვედელიძის საკუთრებაში გადავიდა



**ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო ადასტურებს, რომ შპს „იგრიკა“, რომელსაც აქვს საკაბელო და სატელიტური მაუწყებლობის უფლება, ბიძინა ივანიშვილის მეუღლის ეკატერინე ხვედელიძის საკუთრებაში გადავიდა. უახლოეს ხანში დაგეგმილია ახალი სატელიტური ტელემაუწყებლობის ამოქმედება.**

შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში გაკეთებულ თავის პირველსავე განცხადებაში მოუწოდა საქართველოში მოქმედ ყველა ტელევიზიასა და ჟურნალისტს, გამიჯვნოდნენ პროპაგანდისტულ ჟურნალისტიკას, ჩამდგარიყვნენ სიმართლის სამსახურში და აღუთქვა, რომ თავად იქნებოდა მათი სარედაქციო დამოუკიდებლობის გარანტი.

ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო აცხადებს, რომ ტელევიზიაში მომუშავე ჟურნალისტებს ექნებათ სრული სარედაქციო დამოუკიდებლობა, რაც ტელევიზიის დებულებასა და კონტრაქტებში აისახება შესაბამისი ფინანსური ვალდებულებებითა და გარანტიებით.

ამ მიზნით ასევე გადაწყვეტილია მჭიდრო თანამშრომლობა ევროპაში მოქმედ მაღალკვალიფიციურ საერთაშორისო ფონდებსა და ორგანიზაციებთან, რომლებიც ამ საკითხებით არიან დაკავებული. ვფიქრობთ, მათი მონაწილეობა ახალი ტელევიზიის ფორმირების საქმეში კიდევ უფრო განამტკიცებს დემოკრატიული სამყაროსთვის დამახასიათებელი სარედაქციო სტანდარტების დამკვიდრებას საქართველოში, რაც იქნება უმნიშვნელოვანესი პრეცედენტი თავისუფალი ქართული მასმედიის განვითარების გზაზე.

მოდელირებული პირველადგილოსნები

# რეიტინგი, სიდედრები და „რუსთავი-2“-ები

## რატომ აჯობებდა, რომ ორივე „პირველადგილოსანი“ წყალში... დაგვაბანინა!

**არაფერი არ შემშლია, სათაურში ზუსტად ისე წერია, როგორც უნდა ეწეროს – სწორედაც რომ, „რუსთავი-2“-ები და არა „რუსთავი-2“, რადგან ეს უკანასკნელიც, ისევე როგორც „იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ თუ „მზე“, თავი რომ დამოუკიდებელ ტელეკომპანიებად მოაქვთ, სინამდვილეში ერთია, ერთი „რუსთავი-2“-ია, უბრალოდ, ხალხისთვის თვალის ასახვევად, სხვადასხვა სახელი ჰქვიათ (ეს პირველმა ჩვენმა გაზეთმა „აღმოაჩინა“, ისევე როგორც ის, რომ „რუსთავი-2“, მისი ხელმძღვანელების მტკიცების საწინააღმდეგოდ, გამარჯვებული ხალხის კი არა, ხალხზე გამარჯვებული ტელევიზიაა!).**

ჰოდა, ადგნენ საახალწლოდ ეს „დამოუკიდებელი“ და ერთმანეთისგან „განსხვავებული“ ტელეკომპანიები, უფრო სწორად, როგორც ვთქვით, ერთი „რუსთავი-2“-ის შემადგენელი ნაწილები, ხოლო უფრო ზუსტად – აღნიშნული „კვარტეტის“ ორი „სოლისტი“ – „რუსთავი-2“ და „იმედი“, „დამფუძნებლებიც“ კი რომ თითქმის ერთი და იგივე ხალხი ჰყავს, და სატელევიზიო ეთერს სულ ბღღვირი ადინეს ტრაბახით, არა მე ვარ ყველაზე რეიტინგული ტელეარხი და არა – მეო.



**მთავარმა „რუსთავი-2“-ელმა – „რუსთავი-2“-მა – მე ვარ პირველი „სკრიპკა“, 20 საკონკურსო ნომინაციიდან თექვსმეტში ჩვენმა პროგრამა-პროექტებმა იპირველესო (ოღონდ, ვერაფრით გავიგეთ, ვინ გამოაცხადა ეს კონკურსი, ვინ დაადგინა ნომინაციათა სახეობები თუ რაოდენობა, ვინ იყო ჟიური და ა. შ.), „იმედმა“ კი თავისივე გენერალურ დირექტორთან და ამავე ტელევიზიის ერთ-ერთ დამფუძნებელ გიორგი არველაძესთან (ისე, რატომ არავინ ინტერესდება ხელისუფალთაგან, საიდან იშოვა „მოდელირებული ქრონიკების“ ამ დიდოსტატმა მილიონები „იმედის“ აქციების შესაძენად?) საუბრით დაურტყა ბეჭედი თავის პირველობას.**

მოკლედ, ლამის დახოცეს ერთმანეთი „მონადირეებმა“ მოუკლავი დათვის ტყავის გასაყოფად!

**კი, მაგრამ, ხალხის აზრს არ კითხულობთ, ბემურაზ?!**

და სანამ მე, ამ ხალხის ერთი წარმომადგენელი, ამასთან დაკავშირებით რამეს ვიტყოდე, ჭიჭიკიასა და ბიჭიკიას წაპაექრება-წაკაფიობის ერთი სტროფი მინდა გავიხსენო:

**– ჩემი სიდედრი შენსას სჯობია,**
**– არა, ჩემი სჯობს შენს!**
**– ორთავე წყალში**
**დაგვახრჩობია,**
**მეც მოვისვენებ, შენც!**

უწინარესად, ბოდიშს ვუხდი ყველა სიდედრს ამ „მოდური“ სახუმარო თემის „გახსენებისთვის“.

წყალში დახრჩობასთან დაკავშირებით რაიმე ანალოგიისგანაც ღმერთმა დამიფაროს – **ამისთვის კი არა, უბრალოდ ნეკის წამოტკინებისთვისაც არ მემეტება არც ერთი ჩემი ელექტრონულმედიელი კოლეგა,** რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ თავიანთი უშუალო ხელმძღვანელებისა და იმათი ნაცშეფების შეკვეთით უძლვნიან ოდებს საქართველოს მოდელირებულ კეთილდღეობას და ისე გვტენიან ამას ყოველდღე ტვინში, როგორც ვირს – „საყვარელ“ პიტნას ცხვირში, **მაგრამ რაც მათს „პირველადგილოსან“ ტელეარხებსა და იქაურ „დიდკაცობას“ შეეხება...**

არა, წყალში დახრჩობისთვის არც ისინი მემეტებიან, მაგრამ წყალს თუ არა, დავიწყების ნიაღვარს რომ არიან გასატანებელნი, ფაქტია!

თუნდაც იმისთვის, რომ როგორც ჩვენი დემოკრატი ხელისუფლება სათავისოდ ჭრის და კერავს ნებისმიერ კანონს კი არა, თვით კანონთა კანონს – კონსტიტუციასაც, ისინიც ისე იჩემებენ რეიტინგულობას და ცდილობენ, თავიანთთვის სასურველი ხალას სიმართლედ შემოგვასაღონ!

**არადა, უთუოდ აჯობებდა, რომ ორივე წყალში... დაგვაბანინა, რათა... პირსუფთა-პირნათელნი ყოფილიყვნენ ხალხის თვალში!**

ნინო ქორჩილავა

პრესკონფერენცია

**საქართველოს პროფესიულ კავშირთა გაერთიანება მე-8 საკანონმდებლო ინიციატივით გამოვიდა, რაც გულისხმობს უმაღლესი განათლების კანონში ცვლილებებს. კერძოდ, სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე ჯანმრთელობის უფასო დაზღვევასა და მეორე: მძიმე, მავნე და საშიშ პირობებში დასაქმებული ადამიანებისთვის (მეშახტეები, მეტალურგები, მეხანძრეები...) სამსახურიდან წასვლის შემდეგ სათანადო კომპენსაციის დანიშვნას.**

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყო კანონპროექტის პარლამენტში წარდგენისთვის სავალდებულო 30 000-ზე მეტი ხელმოწერის შეგროვება, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებმა... არ დაამოწმეს ხელმომწერი პირების იდენტურობა.

ხელმოწერების დამოწმებაზე უარი თქვეს თბილისის, ზესტაფონის, ტყიბულისა და რუსთავის საკრებულოებმა, რითაც ხელოვნური ბარიერი შეუქმნეს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის შეტანის ამომრჩევლის კონსტიტუციურ უფლებას.

# ხელოვნური დაბრკოლება

კანონის თანახმად, დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას ამოწმებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც საჯარო რეესტრის საშუალებით ძალიან მარტივად ადგენენ პირის იდენტურობას, თუმცა თვითმმართველობებმა რატომღაც უარი განაცხადეს ამ მოვალეობის შესრულებაზე და კანონპროექტის ინიციატორებს ნოტარიუსისკენ მიუთითებენ. ეს მომსახურებაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში 24 000 ლარი ჯდება.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი წერილობით მიმართავს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომ უზრუნველყოს ისეთი საკანონმდებლო გარემოს შექმნა, სადაც მოქალაქეები შეუზღუდავად მოახერხებენ კონსტიტუციური უფლებების განხორციელებას. იგი მწუხარებას გამოთქვამს, რომ მსგავსი ტიპის ინიციატივებს ართმევენ საზოგადოებას:

– საკრებულოს ვალდებულებაში უწერიათ, რომ ხელი შეუწყონ საზოგადოების ნების დადასტურებას. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო თევდორაძე კანონდარღვევით მიგვითითებს ნოტარიუსზე. ჩემთვის გაუგებარია მსგავსი გადაწყვეტილების მიზეზი. ვფიქრობ, საქმე გვაქვს თანამდებობის პირთა არაკომპეტენტურობასთან. სხვა საკანონმდებლო ინიციატივებზე დაბრკოლება არ გვქონია. ეს პირველი შემთხვევაა, როცა თვითმმართველობებმა უარი განაცხადეს ხელმომწერთა ვინაობის დადასტურებაზე, – განაცხადა პროფესიულ კავშირთა გაერთიანების თავმჯდომარემ ირაკლი პეტრიაშვილმა გუშინ გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე, სადაც პროფკავშირების მიერ მომზადებულ ორ კანონპროექტთან დაკავშირებით შექმნილ უცნაურობებზე ილაპარაკა.

გულნაზ გახარია

ინფორმაცია

## პარტიების ქონებაზე ყადაღის დადების უფლება ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსს ექნება

**პოლიტიკური პარტიების და მასთან დაკავშირებული ფიზიკური თუ იურიდიული პირების ქონებაზე, საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების გადაწყვეტილების უფლება კონტროლის პალატის პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის უფროსს ექნება.**

**მონიტორინგის სამსახურის უფროს ნათია მოგელაძისთვის ამ პრეროგატივის მინიჭებას კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება ითვალისწინებს.**

**ბრძანების თანახმად, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონით და „კონტროლის პალატის შესახებ“ კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში, ფიზიკური პირების, იურიდიული პირების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების ქონებაზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე) ყადაღის დადების შესახებ გადაწყვეტილებას პარტიის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი იღებს.**




**კონტროლის პალატას ყადაღის დადების უფლება პარლამენტის მიერ გასული წლის ბოლოს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით მიენიჭა. კანონის მიხედვითვე, პირს შეუძლია ყადაღის გადაწყვეტილება გაასაჩივროს, თუმცა გასაჩივრება ყადაღის მოქმედებას ვერ შეაჩერებს.**

ინტერპრესნიუსი

ვანდალიზმი



# ბედიის ტაძარში ბაგრატ მესამის ერთადერთი ფრესკა განადგურებულია

**აფხაზეთში, ბედიის ტაძარში ბაგრატ მესამის ერთადერთი ფრესკა განადგურებულია, – ამის შესახებ გუშინ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა გიორგი გაგოშიძემ განაცხადა.**

მისი თქმით, ბედიის ტაძარში გაურკვეველი რესტავრატორების მიერ განხორციელებული გაურკვეველი ქმედებების გამო, ბაგრატ მესამის ერთადერთი ფრესკა ჩამოინგრა.

გაგოშიძემ აღნიშნა, რომ ე.წ. არქიტექტორები ამბობდნენ, რომ ტაძარში კედელს აქლიერებდნენ, თუმცა ამას ბაგრატ მესამის ერთადერთი გამოსახულების განადგურება მოჰყვა.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე, აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობაზე და შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის გზებზე საუბრობდნენ.

◉ როგორც უნდათ ისე ჭრიან და კერავენ

# საკუთარი კანონით დაბნეული ხელისუფლება

**საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი აცხადებს, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ჩაწერილ ახალ ნორმას, რომელიც პარტიებისგან და მათთან დაკავშირებული პირებისგან ფინანსური ანგარიშგების წარდგენისთვის 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე არსებულ პერიოდს ითვალისწინებს, არაფერი აქვს საერთო საგადასახადო წელთან და ეს პერიოდი განისაზღვრა მხოლოდ იმიტომ, რომ „როგორც წესი, არჩევნები არის ოქტომბერში და აქედან გამომდინარე, ინფორმაცია ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით უკავშირდება ამ პერიოდს“.**

**არადა, კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის ხელმძღვანელი ნათია მოგელაძე ბოლო დღეების განმავლობაში მუდმივად იმას ამბობს, რომ ეს პერიოდი საგადასახადო წლის ანალოგიით იქნა შერჩეული.**

**რატომ არა აქვს ხელისუფლებას შეთანხმებული განმარტება და რამდენად კანონიერად შეიძლება ჩაითვალოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელის მთელი რიგი ქმედებები, ამ საკითხებთან დაკავშირებით Presage.tv პავლე კუბლაშვილს ესაუბრა.**

**პავლე კუბლაშვილი:** ამ ახალი კანონით კონტროლის პალატას აქვს უფლებამოსილება, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას, გამოითხოვოს ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოდან. ამიტომ თუ ასეთი მოთხოვნა არსებობს, შეიძლება ასეთი ინფორმაციაც მიეწოდოს. მე სხვას ვერაფერს ვერ ვიტყვი.

**— მათ შორის ეროვნული ბანკისგანაც?**

— რა თქმა უნდა. ეროვნული ბანკი არის საჯარო უწყება და კანონში წერია, რომ უფლება აქვს, ინფორმაცია გამოითხოვოს ნებისმიერი საჯარო უწყებიდან. თუ ვინმეს აქვს სურვილი, რომ პოლიტიკური პარტია გამოიყენოს იმისთვის, რომ, ვთქვათ, არალეგალური თანხის ბრუნვა მოხდეს და ამის შესახებ, თურმე, ეროვნულმა ბანკმა თვალი უნდა დახუჭოს, არასწორად უყურებს ზოგადად პროცესებს.

არ შეიძლება, ადამიანი იყოს პოლიტიკური პარტიების ფინანსების გამჭვირვალობის წინააღმდეგი. თუ ვინმე ეძებს გზას, თუ როგორ აუაროს გვერდი კანონს, რომლითაც გამჭვირვალე ხდება პოლიტიკური დაფინანსება, ის ამ თავისი ქმედებითვე კანონის არსს ეწინააღმდეგება. ანუ, ადამიანი კანონის გვერდის ავლაზე თუ ფიქრობს, მას არ აინტერესებს გამჭვირვალობა. მას უნდა, რომ რაღაც ფინანსები იყოს გაუმჭვირვალე და იყოს ბუნდოვანი და ამის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ იყოს.

**— თქვენ თვითონ როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, რომ ვინმეს ასეთი იდეა და სურვილი ლეგიტიმურად ჰქონდეს? და, თუკი ვინმეს ეს იდეა აქვს, თავის თავად უკვე ხომ არ ეწინააღმდეგება კანონს?**

— მე ვფიქრობ, რომ ყველა პარტიის ფინანსები თანაბრად უნდა იყოს გამჭვირვალე და წესები და აკრძალვები ყველასთვის თანაბრად ვრცელდებოდეს, მათ შორის ხელისუფლებისთვისაც. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ვიღაცეებს იმის სურვილი აქვთ, რომ რაღაცეები დამალონ. კი, ბატონო, კონტროლის პალატამ შეამოწმოს, მაგრამ დანარჩენმა ორგანოებმა არანაირი ინფორმაცია არ მისცენ? იმას ცდილობენ, რომ რაღაც ახალი მოიფიქრონ, რათა ეს ფინანსები რაღაცნაირად დამალონ. არაფრის მოფიქრება არ არის საჭირო, ძალიან მარტივია, ყველამ თავისი ის ფინანსები, რომელიც გამოიყენება პოლიტიკური მიზნებისთვის, უნდა გახადოს საჯარო. ამის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ეს არის და ეს.

**— მე ამას არ გეკითხებით. ფინანსების გამჭვირვალობაზე როდესაც არის საუბარი, ეს ხელისუფლებას არ ეხება?**

— ყველას ეხება.

**— მაშინ კონტროლის პალატა ამ ინფორმაციას რატომ არ სთხოვს ხელისუფლებას?**

— ხელისუფლების ფინანსური ანგარიშები ღიაა. ჩვენ ჯერ არ გვევალებოდა და მაინც გამოვაქვეყნეთ ის ინფორმაცია, რაც პარტიისთვის შემოწირულობებს ეხება.

**— კონტროლის პალატამ, მისივე სიტყვებით, ალტერნატიულ წყაროზე დაყრდნობით გამოაქვეყნა „ქართული ოცნების“ მიერ მედიაში რეკლამაში გადახდილი თანხა. „ნაციონალურ მოძრაობას“ რეკლამა არც ერთ მედიაში არ უყიდია? კონტროლის პალატა რატომ არ დაინტერესდა ამ ინფორმაციით და რატომ არ გამოაქვეყნა?**

— მე რამდენადაც ვიცი, ყველა პარტიის ფინანსურ ანგარიშგებას შეისწავლის და გამოაქვეყნებს.

**— რატომ დაიწყო „ქართული ოცნებით“ და რაც მთავარია, რა სტატუსით?**

— ეს კონტროლის პალატას უნდა ჰკითხოთ. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ყველა შემოწმდება და საიდანღაც ხომ უნდა დაეწყოთ? ამასთან, „ქართული ოცნება“ ივანიშვილთან დაკავშირებული პირი რომ არის, ეჭვი გეპარებათ?

**— თუ მას ჰქონდა ე.წ. „დაკავშირებული პირის“ სტატუსი, 2011 წელს „დაკავშირებულ პირებს“ არანაირი კანონი არ არეგულირებდა. გამოდის, რომ კანონს მაინც უკუძალა მიენიჭა?**



— არანაირ უკუძალის მინიჭებაზე არ არის ლაპარაკი. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონის 25-ე პრიმა მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ „წელი ნიშნავს პერიოდს 1 ნოემბრიდან მომავალი წლის 1 ნოემბრამდე“, იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ პირსა და ნებისმიერ პარტიას, რომელსაც ამ კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება აქვს, ეს ინფორმაცია სწორედ ამ პერიოდზე უნდა წარადგინოს.

**— 1 ნოემბერიდან 1 ნოემბრამდე პერიოდი რატომ შეირჩა?**

— თავის დროზე ამ თარიღის შერჩევა მოხდა სწორედ იმიტომ, რომ, როგორც წესი, არჩევნები არის ოქტომბერში და აქედან გამომდინარე, ინფორმაცია ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით უკავშირდება ამ პერიოდს. პარტიებს ეს ვალდებულება ჰქონდათ აქამდეც, უბრალოდ, ამას წარადგენდნენ ცესკოში. ახლა მათ ეს ვალდებულება აქვთ კონტროლის პალატასთან.

რადგან გამოიკვეთა ახალი სუბიექტი, ცხადია, მასზეც უნდა გავრცელდეს. ამ ნორმის ერთადერთი მიზანი არის ფინანსების გამჭვირვალობა და მე არ მგონია, ვინმე საღ აზრზე მყოფი ადამიანი იყოს ამ ნაწილში ფინანსების გამჭვირვალობის წინააღმდეგი.

**— ახალგაზრდა იურისტებმაც შეაფასეს, რომ ეს არის აღიარება იმისა, რომ კანონს მიენიჭა უკუძალა, რადგან დაკავშირებულ პირს მოსთხოვეს ამ სტატუსის მინიჭებამდე არსებული ანგარიშგების ახალ ჩარჩოში მოქცევა.**

— მე არ ვფიქრობ, რომ ეს არის უკუძალა და ამას ხაზს ვუსვამ. გარდა ამისა, როდესაც უკუქცევის ძალაზე არის საუბარი, ეს იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება, ახალი კანონით რაიმე ქმედება იყოს დასჯადად გამოცხადებული ან განიხილებოდეს როგორც დარღვევა და შესაბამისად, ეს გავრცელდეს კანონის მიღებამდე ჩადენილ ასეთ ქმედებაზე. მაგრამ ამ შემთხვევაში, არანაირ დასჯაზე არ არის საუბარი. საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ ფინანსები უნდა იყოს გამჭვირვალე და ვფიქრობ, რომ ეს უნდა იყოს სავალდებულო ყველა იმ პარტიისა და პოლიტიკური პირისა, რომელსაც აქვს პოლიტიკური მიზნები.

**— თქვენ შეგიძლიათ იმის დამტკიცება, რომ „ქართულ ოცნებას“ აქვს პოლიტიკური მიზნები?**

— ეს მიზნები თქვენ არა გაქვთ მოსმენილი?

**— არა.**

— მაშინ ნახეთ მათი მხრიდან გაკეთებული განცხადებები.

**— რომელი განცხადებები?**

— ის განცხადებები, რაც ივანიშვილისა და მისი მომხრეების მხრიდან კეთდება.

**— ანუ, თქვენ ამბობთ, რომ „ქართული ოცნება“ არის დაკავშირებული პირი და ამიტომ მოითხოვა კონტროლის პალატამ მისი ანგარიშგება? ჯერ ერთი, კონტროლის პალატის განცხადებაში, რომელიც „ქართულ ოცნებას“ გაეგზავნა, არ ეწერა, რომ მას როგორც დაკავშირებულ პირს, ისე სთხოვდნენ ანგარიშგებას. მეორეც, კონტროლის პალატამ უნდა განსაზღვროს ვინ არის დაკავშირებული პირი და ვინ არა? იურისტები ამბობენ, რომ ამისთვის სპეციალური ნორმატიული აქტი უნდა გამოიცეს, სადაც განსაზღვრული იქნება, ვინ შეიძლება ჩაითვალს დაკავშირებულ პირად და ვინ — არა.**

— მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ძალიან მარტივია დაკავშირებულ პირებთან დაკავშირებით კონკრეტული კრიტერიუმების შემუშავება. თუმცა, ვფიქრობ, რომ შეიძლება ეს არც იყოს გაწერილი. ყველა ძალიან კარგად ხვდება, ვინ, რომელი არასამთავრობო ორგანიზაცია, რა ფორმით არის დაკავშირებული რომელიმე პარტიასთან.

ნებისმიერი დაკავშირებული პირი მას შემდეგ ექცევა ამ კანონის ქვეშ, რაც მიიღებს შეტყობინებას კონტროლის პალატისგან. ბუნებრივია, კონტროლის პალატამ ამ შემთხვევაში შეიძლება მოითხოვოს ინფორმაცია იმ ქმედებებზე, რაც მანამდე განხორციელდა.

ეს არის კონტროლის პალატის დისკრეცია და ვერანაირი ნორმატიული აქტით ეს ვერ იქნება დადგენილი. კრიტერიუმების ჩამონათვალი ვერ იქნება ამომწურავი და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, კავშირებიც შეიძლება იყოს სხვადასხვა. ამიტომ ამაზე ნორმატიულ აქტს ვერავინ ვერ შეიმუშავებს.

**თეონა ხარაბაძე**

◉ შეფასება

# სენსაციებით სავსე გასული წელი

რომ არა ბატონი მიშას საახალწლო გრანდიოზული კონცერტი, სამი ფეშენებელური სასტუმროსა და გრძელი ხიდის შემდეგ გასული წლის სენსაციად ახლადგამომცხვარ პოლიტიკოს-პარლამენტარ მინაშვილის ახალი წლის წინ გაკეთებულ განცხადებას მივიჩნევდი. არადა, მინაშვილმა კუბლაშვილსაც, ქართული საზოგადოებრივი მჭევრმეტყველების ამ ბრწყინვალე ამომავალ ვარსკვლავსაც გადაუჯოკრა. ერთი გენახათ, რა შემართებით ამუნათებდა ამერიკას, რა წელგამართული უქნევდა თითს ზესახელმწიფოს საელჩოს. მაშ რა გეგონათ, ბატონებო, ჯერ კითხვა უნდა გესწავლათ, თორე ისე რას გახდებით ჩვენი პარლამენტის ჯურღმულებში შექმნილი გადაწყვეტილებების ამოხსნა რომ დაგჭირდებათ.

ისე პავლე კუბლაშვილსაც არ უნდა დაუკარგო ამაგი. იმანაც თქვა, მაგრამ რა, ჟურნალისტებმა რომ ჰკითხეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს აღუდგენენ თუ არა საქართველოს მოქალაქეობასო, არც აცია, არც აცხელა, ჩემი ნება რომ იყოს, არ აღვუდგენდიო. აი კაცი, ჩვენ ვინ ვართ. ისე თავმოყვარეობა რომ გვქონდეს, ყველამ უარი უნდა ვთქვათ საქართველოს მოქალაქეობაზე. ეჰ, ამ ცხოვრებისა რა ვთქვი, ძალა აღმართსაც რომ ხნავს, მაგრამ ეს ძალა, ძალაუფლება მთლად გამოულეველი როდია. ძალად ატანილი დიდი ლოდი ზოგჯერ ზემოდან უდიდესი ენერგიით გორდება და ამქაჩავსაც ქვეშ მოიყოლებს ხოლმე.

ახლა კი პირველობის უპიროზო მსურველ ბატონ მიშას დავუბრუნდეთ. ჯერ ერთი, პირველობაში პირველ კაცს ათასი მინაშვილ-კუბლაშვილი, ცისკარიშვილ-წიკლაური და სხვა მისთანები რას შეეცილებიან, თან დადის, დაფრინავს, არ ჩერდება... აი, ანაკლიური ზღაპარ-კონცერტი ხომ იყო და იყო. ტელეეკრანზე სულ გაბდღვიალებული ის ერთი სასტუმრო და ასევე გაჩირაღდნებული გრძელზე გრძელი, მსოფლიოში ჯერ მსგავსი არ არსებული ხიდი-საოცრება ტრიალებდა. აბა სხვა იქ არაფერიაო, ამბობენ და... (ნეტარხსენებული პოეტი უდაოდ მიუმღერებდა მიშას, „ამაზე გრძელი, ამაზე დიდიო...“ძ.

ისე, ამ ხიდმა გამახსენა: თბილისში ასევე აჟიტირებულ სულ რამდენიმე წლის წინათ გახსნილ პამპერსხიდთან (მე არ დამირქმევიაძ ხშირად მიწევს ჩავლა-ჩამოვლა. მაინტერესებს დავაფიქსირო, საშუალოდ რამდენი კაცი გადაივლის მასზე დღის განმავლობაში, მაგრამ მეთევზეების მეტი მე იქ არავინ დამინახავს. ჰოდა, მეთევზეებისგან პრეზიდენტს დიდი მადლობა კი ეკუთვნის. მდინარის შუაგულში ჩაუშვებენ ანკესებს და...

ისე 2011 წელი მთლიანად პრეზიდენტის სენსაციების კუთვნილი ერაა. აბა ერთი გაიხსენეთ, როგორ ისკუპა სვანეთიდან და პირდაპირ ბათუმთან ჩაყვინთა ზღვაში. ამბობენ, სასწაულად გადარჩაო. მერე და მერე, ჰაი დედასა, კაი მაგარი უნდა იყო, თვალი ადევნო მის ფრენა-გაფრენებს. რომ არა ჩვენი საოცარი ჯიბის ტელევიზია „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტების ვაჟკაცობა, არ გინდა სდიო ხან ველოსიპედზე ამხედრებულ, ხან ბაზარში კალათამომარჯვებულ მიშას და მისი ოჯახის წევრებს. ისე ამდენი რამე რომ იყიდა, ნეტავ საკუთარი ხელფასი იკმარა თუ დედამისის დანაზოგიც დაამატა?

სლოგანი — მსოფლიოში ყველაზე წარმატებული, მეორე (თუ პირველის წინაძ სინგაპური, აყვავებული ეკონომიკა და საიმედო ბიზნესგარემო. სოფელი? სოფლის მეურნეობა ხომ გლეჯს. მერე რა რომ ნიორი, ხახვი, კიტრი და პომიდორი უცხოეთიდან შემოგვაქვს. ყველაზე, ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოო, — პრეზიდენტიდან მოყოლებული ასე ერთ ხმაზე რომ გუგუნებს მთელი მთავრობა, მოდი და ნუ დაუჯერებ.

იხ. 5 გვ.

◉ ინფორმაცია

## კრასნოდარის მხარის გუბერნატორი აფხაზეთის საპატიო მოქალაქე გახდა

**კრასნოდარის მხარის გუბერნატორმა ალექსანდრე ტკაჩოვმა სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. ხელმძღვანელობას, რომელსაც იგი გაგრაში შეხვდა, კუბანისა და აფხაზეთის ერთობლივი საქმიანი ფორუმის ჩატარება შესთავაზა. ინფორმაციას ამის შესახებ აფხაზური მედია ავრცელებს. მან ასევე განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს აფხაზი მეწარმეების სოჭის ოლიმპიური ობიექტების მშენებლობაში ჩართვის იდეას.**

**— რუსეთი ყოველთვის ეხმარებოდა აფხაზეთს ეკონომიკურად. ამიტომაც კრასნოდარის მხარე მომავალშიც მზადაა დაეხმაროს და აქტიურად ითანამშრომლოს აფხაზეთთან, — განაცხადა ტკაჩოვმა.**

**ტკაჩოვმა თავის ბლოგში ასევე მიუთითა: „თქმა არ მინდოდა, მაგრამ მაინც დაწერენ ამის შესახებ. მე ამიერიდან აფხაზეთის საპატიო მოქალაქე ვარ. ასე რომ, მე ორი მოქალაქეობა მაქვს ამჟამად, რუსეთის და საპატიო — „ საზღვარგარეთის აფხაზეთის“.**

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა

# ფასებით აშშ-ს უკვე ვუსწრებთ, ხელფასებით კი...

## მაკროეკონომიკური პროგნოზი პოლიტიკური ფსონებით დატვირთულ 2012 წელზე

**მაკროეკონომიკური პროგნოზის გაკეთება ყოველთვის საფრთხილო საქმეა, რადგან ეკონომიკის მდგომარეობა მრავალი ფაქტორისა და გარემოების კომბინაციაზეა დამოკიდებული. მით უფრო ძნელია 2012-ზე, რომელიც „ჩვეულებრივი *წლებისაგან*“ *იმით* განსხვავდება, რომ იგი *ოლიმპიადის*, დედამიწის თვალსაწიერში *ნიბირუს* პლანეტის გამოჩენისა და *დიდი ქართული არჩევანის* წელიცაა. განსაკუთრებით ძნელი და ერთგვარად სარისკოცაა პროგნოზის გაკეთება ჩვენთან, სადაც, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ოფიციოზის მეტამორფოზამ ერთი დიდი ქველმოქმედის ბოლო ოცწლიანი საქმიანობის შეფასებაში მკაფიოდ დაგვანახვა, რომ საქართველო არათუ მომავლის გაუჭვრეტელი, არამედ ასეთივე წარსულის ქვეყნადაც რჩება.**

**ჩვენ მაინც ვცადოთ...**

**ბოლო წლებში, სანამ ჩვენ რეფორმებს ვახორციელებდით და ბიზნესის დაწყების სიიოლით მსოფლიოში თავს ვიწონებდით, აზერბაიჯანი და სომხეთი ჩვენზე დინამიკურად ვითარდებოდნენ.** – ეკონომიკური განვითარების დონით 2003 წელს საქართველოზე ჩამორჩენილმა აზერბაიჯანმა ისე გადაგვისწრო, მის კვალში ჩამდგარს ახლა იმის კითხვა თუღა შეგვიძლია, *როდის და რა სიჩქარით ჩაგვიქროლა მან?!* – საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, **ერთ სულ მოსახლეზე აზერბაიჯანი საქართველოს უკვე 2.4-ჯერ და მეტად უსწრებს** (2003 წელს ჩამორჩებოდა 6 პროცენტით), ხოლო 2012 წლისთვის მისი აბსოლუტური მატება, საპროგნოზო შეფასებით, საქართველოსას 3.5-ჯერ გადააჭარბებს.

სომხეთის ეკონომიკის „სუნთქვას“ საქართველოს ეკონომიკა 2003 წელსაც ზურგს უკან გრძნობდა (მეზობელი ქვეყანა ეკონომიკურად ჩამოგვრჩებოდა 5 პროცენტით), თუმცა 2011 წლისთვის ეს სხვაობა იმდენად შემცირდა, რომ ხატოვნად თუ ვიტყვით, პიკის საათებში საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრთა შორის არსებულ დაშორებაზე ნაკლებია (სხვაობა მხოლოდ 2 პროცენტია).

**2012 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპი, პროგნოზით, იქნება: აზერბაიჯანში – 7.1%, საქართველოში – 5.2% სომხეთში – 4.3%.** შესაბამისად, შენარჩუნდება საქართველოს სომხეთთან სიმბოლური წინსწრების, ხოლო აზერბაიჯანთან – სოლიდური ჩამორჩენის მასშტაბები.

2012 წელს უცვლელი დარჩება ასევე, საქართველოს მეტად უმნიშვნელო წილი მსოფლიო ეკონომიკაში. – **საქართველოზე მოდის მსოფლიოში შექმნილი მთლიანი ეროვნული პროდუქტის მხოლოდ 1/2500.** ამიტომ მსოფლიო ეკონომიკის გავლენა საქართველოზე ერთმნიშვნელოვნად გაცილებით დიდია, ვიდრე საქართველოს ეკონომიკის გავლენა მსოფლიო მეურნეობაზე. თუ რამე ფარცაგი არ მოხდა, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 2012 წელს, წინა წელთან შედარებით, დაახლოებით 300 დოლარზე მეტით გაიზრდება და „როგორც იქნება“, **დავძლევთ ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი პროდუქტის საშუალო მსოფლიო დონის 50-პროცენტიან ზღვარს.**

თუმცა, მხოლოდ ვალუტის მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით. – მიმდინარე ფასებით, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ლარისა და დოლარის ოფიციალური კურსით, **მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ჩვენი ეკონომიკა კვლავაც საშუალო მსოფლიო დონის მესამედზე ნაკლები იქნება (დაახლოებით 3500 აშშ დოლარი).** რამდენად იქნება მთლიანი შიდა პროდუქტის ზემოხსენებული 300-დოლარიანი მატება საკმარისი იმისათვის, რომ ქვეყნის ყოველ მეექვსე მცხოვრებს – *პენსიონერს* – პენსია ხელისუფლებისაგან ოდესღაც შეპირებულ 100 დოლარამდე გაეზარდოს, ძნელი სათქმელია. თუმცა, ვისაც ეხლა **სამციფრიანი** (დოლარულ განზომილებაში) პენსიის იმედი აქვს, გაიხსენოს, რომ ჯერ ერთი წელიც არაა გასული, რაც მათი პენსია უკვე გახდა **სამნიშნა** – ლარებში. „სულ რაღაც“ ჩვიდმეტი წლის წინათ კი, ვინც მაშინაც პენსიონერი იყო, პენსია **ექვსნიშნა** ჰქონდა – კუპონებში, რაც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ ბანალურ ჭეშმარიტებას, რომ **მთავარი პენსიის ნიშნული სიდიდე კი არა, მისი მსყიდველობითი უნარიანობაა.**

2012 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში 15 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბებს. ბევრია ეს თუ ცოტა? – გააჩნია „ათვლის წერტილად“ რას გამოვიყენებთ. 2003 წელთან ქრესტომათიული შედარებისას – რა თქმა უნდა, **ბევრია!** თუ მეზობელ აზერბაიჯანს შევუდარებთ, მაშინ, რა თქმა უნდა, **ცოტა!** სხვათა შორის, პარლამენტში 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას დებატებში ერთმა პარლამენტარმა მართებულად შენიშნა, *2011 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პენსიებზე გაღებული თანხა 2003 წლის ბიუჯეტის მთელ საგადასახადო შემოსავლებს აღემატებაო.* **მისი არგუმენტის ადრესატს, ალბათ, არც ახსოვდა, თორემ აუცილებლად შეაგებებდა შემხვედრ არგუმენტს, რომ იმავე *2011 წლის საქართველოს საგარეო ვალი 2003 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაზე მეტი იყო,*** ხოლო *მოსახლეობის ერთ სულზე აზერბაიჯანის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტს საგრძნობლად აღემატებოდა.* ეს კი არა, „ბოროტი ენები“ იმასაც ამბობენ, ***2011 წელს საპროცესო გარიგებებით ამოღებული თანხა 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთელ შემოსავლებს აჭარბებსო.***

ამინდის პროგნოზთან შედარებით გაცილებით რთულია იმის პროგნოზის გაკეთებაც, თუ **როდის დაეწევა საქართველო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს** (ისე, ნაციონალური ტელეარხები ამინდის პროგნოზსაც კი ზოგჯერ 2-3-გრადუსიანი ცდომილებით იძლევიან).

დიახაც, მოწინავე ქვეყნებთან საქართველოს ჩამორჩენის დაძლევის პროგნოზი უაღრესად რთული ამოცანაა, რადგანაც საპროგნოზო მეთოდოლოგიის სრულყოფილ ცოდნასთან ერთად გულისხმობს *განვითარების მკაფიო ტრენდის არსებობას და ფორსმაჟორული გარემოებების, ვოლუნტარისტული და ნებელობითი გადაწყვეტილებების ფაქტობრივ გამორიცხვას.*

1990-იანი წლების დასაწყისში, კარგად ცნობილი მიზეზების გამო, საქართველო თავისი განვითარების დონით დაახლოებით მეოთხედი საუკუნით უკან გადაისტყორცნა და საქართველოსათვის ეკონომიკური ზრდის ათვლა, წინსვლა, ზრდისა და მატების ტემპის გაანგარიშება 1990-იანი წლების შუახანებიდან 1960-იანი წლების დროინდელი მაკროეკონომიკური ინდიკატორების აბსოლუტური მაჩვენებლებიდან იწყება. ამის გამო ეკონომიკური ზრდის ნებისმიერი ინდიკატორის მატების სიდიდეც, შესაბამისად, მოკრძალებული მასშტაბისაა. ამჟამად საქართველო მოსახლეობის ერთ სულზე აწარმოებს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის წევრი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო დონის მხოლოდ 14.3 პროცენტს, 1980-იანი წლების ბოლოს არსებული 40 პროცენტის ნაცვლად.

ბოლო ათწლეულში (2000 წლის შემდეგდროინდელ პერიოდში) საქართველოს ეკონომიკა ყოველწლიურად საშუალოდ 6 პროცენტით იზრდებოდა, განვითარებული ქვეყნებისა – დაახლოებით 1.8 პროცენტით. თუ ეს ტემპები შენარჩუნდება, მაშინ **ზემოხსენებულ 40-პროცენტიან ზღვარზე გასასვლელად საქართველოს დაახლოებით სამი ათწლეული კიდევ დასჭირდება.**

მაგრამ ეს პროგნოზი განვითარებულ ქვეყნებთან ადრე არსებული **სტატუს-კვოს აღდგენის დროზეა – და არა დროზე, რომელიც საქართველოს მათ დონეზე გასასვლელად სჭირდება.**

ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი *ინვესტიციებია,* რომელზეც ბოლო წლებში სტაბილურად მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის მეხუთედი. უცხოეთიდან ბოლო წლებში ყოველწლიურად მობილიზებულ თითქმის 2.4-მილიარდიან (აშშ დოლარებში) ტრიადაში (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საგარეო სესხები, ფულადი ტრანზაქციები) ინვესტიციების წილი სტაბილურად 1/3-ის დონეზეა. **მისი აბსოლუტური მოცულობით კი, ბოლო მონაცემებით, მოსახლეობის ერთ სულზე აზერბაიჯანს 5-ჯერ, ხოლო სომხეთს – 3-ჯერ ჩამოვრჩებით** და მდგომარეობის რამდენადმე გამოსწორება 2012 წელს, რის იმედი და სურვილი ხელისუფლებასა და საზოგადოებას აქვს, ნამდვილად ვერ იქნება „ბრუსილოვის გარღვევა“.

ისე, 2012 წელს უცხოური ინვესტიციები პოზიტიურ როლს მაინც შეასრულებენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, მათ შორის რეალური სექტორის, უწინარესად, მრეწველობის წილის ზრდაში. წელს შესამჩნევი გახდება უმუშევრობის დონის შემცირება. და არა მარტო შრომისუნარიანი მოსახლეობის საქართველოდან გასვლის, არამედ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხარჯზეც. საქართველოს მოსახლეობის ზრდაში თავის სიტყვას მექანიკური მიგრაციაც იტყვის, თუმცა ძირითადად საქართველოს არამოქალაქეების ხარჯზე...

2012 წელს გაგრძელდება **საქართველოს ფასების საერთო დონის მსოფლიო (აშშ) დონესთან დაახლოების პროცესი** და 2012 წლისთვის იგი დაახლოებით 58 პროცენტი იქნება. ბევრი სამომხმარებლო საქონლის (საქონლისა და ფრინველის ხორცი, კვერცხი, რძე, ბანანი, ბენზინი და ა.შ.) აბსოლუტური ფასით, ვალუტის ოფიციალური კურსით, საქართველო უკვე უსწრებს აშშ-ს, მაშინ როდესაც ხელფასებით მხოლოდ 1/8-ის დონეზეა.

ისე, თუ საქართველოსა და ამერიკის ცალკეული ინდიკატორების დამოკიდებულებაზე *მზის გარეშემო პლანეტების განლაგების სქემით* გამოვხატავთ, „მზესთან“ (აშშ-ის დონე-100), ყველაზე ახლოს ფასების დონით ვართ – აქაური ბიგმაკის ფასი ამერიკულის 83%-ია, ფასების საერთო დონე – 58%, საშუალო ხელფასი – 12%, ეკონომიკური განვითარების დონე (მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტი) – 10%, საარსებო მინიმუმი – 7.5%, ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტებში მობილიზებული გადასახადები მოსახლეობის ერთ სულზე – 2.5%...

ეკონომიკას გარკვეული ინერციონიზმი ახასიათებს და სოლიდური შედეგის მიღწევას არა მარტო დიდი ინვესტიციები და ძალისხმევა, არამედ საკმაოდ ხანგრძლივი დროც სჭირდება. 2012 წელს ეროვნული ენერგიისა და ძალისხმევის მნიშვნელოვანი ნაწილი კი, როგორც ეტყობა, პოლიტიკური ვნებათაღელვაში იქნება „ინვესტირებული“. შესაბამისად, **ეკონომიკური ზრდის ტემპი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ერთმნიშვნელოვნად ერთნიშნა იქნება.**

სამაგიეროდ, არ იქნება „ერთმნიშვნელოვანი“ მსოფლიო მეურნეობრიობის რეცესიული მდგომარეობიდან თავის დაღწევისა და ენერგორესურსებზე ფასების შემცირების ტენდენცია. – ეს უკანასკნელი საქართველოს ეკონომიკისთვის ეგზისტენციალური დატვირთვის მატარებელია, რადგან საქართველო ყოველწლიურად ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტზე უცხოეთიდან საქართველოში ფულადი ტრანზაქციების მოცულობაზე მეტს ხარჯავს.

თუმცა ერთი პოზიტიური პროგნოზის, მოლოდინის იმედი ნამდვილად შეიძლება ვიქონიოთ: **წელს ბათუმში ჩასულ დამსვენებლებზე გადათხრილი ქუჩების სულ უფრო მცირე მეტრაჟი მოვა.** მაგრამ რის ხარჯზე მიიღწევა ეს – დამსვენებელთა რაოდენობის ზრდისა თუ გადათხრილი ქუჩების შემცირების ხარჯზე, ამაზე ზუსტი პასუხი მხოლოდ **„სეზონი 2012“**-ის დახურვის შემდეგ გვეცოდინება...

**იოსებ არჩვაძე**



ჩვენი პრესდაიჯესტი

### სკანდალი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში

სიცოცხლის ხელყოფის მუქარა და 1937 წელი XXI საუკუნის მუზეუმში, – ასე აფასებენ ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ყოფილი თანამშრომლები მუზეუმში არსებულ ვითარებას. კულტურის სამინისტროში გაიგზავნა მუზეუმის დირექტორის ომარ ლანჩავას შავ-ბნელი საქმეების და მასთან ნათესაური კავშირის მქონე თანამშრომლების სია.

**„ვერსია“.**

ჟურნალ-გაზეთებიდან

### „რუსეთმა შეიძლება ომი გამოგვიცხადოს“

პოლიტოლოგი მამუკა არეშიძე არ გამორიცხავს, რომ რუსეთმა 2008 წლის აგვისტოს მოვლენები გაიმეოროს. ასეთი გზავნილი ღიად უკვე დააფიქსირა პუტინმა, გზავნილი, რომელიც ეკუთვნოდა არა საქართველოს, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებს.

**„ახალი თაობა“.**

### საჩხერეში „გაუმარჯოს ბიძინას!“ გამო ხალხს სასტიკად გაუსწორდნენ

ძველით ახალ წელს საჩხერეში გამართულ კონცერტზე ახალგაზრდების ჯგუფს სასტიკად გაუსწოდნენ იმის შემდეგ, რაც ერთ-ერთმა მათგანმა „გაუმარჯოს ბიძინას“ -ო, დაიძახა. ამის შესახებ რესპუბლიკური პარტიის საჩხერის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ინგა ზამბახიძე აცხადებს.

**„რეზონანსი“.**

„მაინც ამოვთხრი!“

# ჯაბა იოსელიანის ჯერიც დადგა...





**ქართველი საზოგადოების ნაწილი ჯაბა იოსელიანის დიდუბის პანთეონიდან გადასვენების თხოვნით თბილისის მერს გიგი უგულავას, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს ნიკა რურუას მიმართავს.**

**სოციალურ ქსელ Facebook-ში შექმნილია სპეციალური ჯგუფი „გადავასვენოთ ჯაბა იოსელიანი პანთეონიდან!“, რომელშიც ამ დროისთვის 2114 ადამიანია გაწევრებული.**

ჯგუფი შექმნა გერმანიაში მცხოვრებმა მიხეილ ჯაფარიძემ, რომელმაც, მის მიერ გავრცელებული ვიდეოს მიხედვით, 6 იანვარს იოსელიანის საფლავის გათხრა სცადა და ამ ქმედებით საკითხისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობა სურდა.

**„საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა 2004 წლის 26 მაისს, პოლიტიკური შეფასება უკვე მისცა სამხედრო გადატრიალებას და შემდგომში ჯაბა იოსელიანის, როგორც მხედრიონის მეთაურის მოქმედებებს, და ის საქართველოს სახელმწიფოებრიობის და ქართველი ერის წინაშე ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებად აღიარა. შემდგომ კი საქართველოს პრეზიდენტმა, საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს ჯაბა იოსელიანს, საქართველოს ახალგაზრდობის გახრწნაში, ზნეობრივ და ფიზიკურ განადგურებაში დასდო ბრალი, ხოლო საქართველოს პროკურატურამ კი აღძრა სისხლის სამართლის საქმე ამ დანაშაულებრივი ფაქტების გამოსაძიებლად“,** — აღნიშნულია განცხადებაში, რომელზე ხელმოწერაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია. და რაზეც Tribuna.ge ამახვილებს ყურადღებას.

განცხადების მიხედვით, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი წარმოადგენს საქართველოს საამაყო შვილების ნეშტების სამუდამო სასუფეველს და საქართველოს ნებისმიერი მუზეუმის მსგავსად, მომავალი თაობებისთვის, ისტორიის თვალსაჩინოებაა, ხოლო პანთეონში დასაფლავება არის სიმბოლური აქტი, რომლითაც საქართველოს საზოგადოება პატივისცემას გამოხატავს განსვენებულის მიმართ.

**„სწორედ ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ... ღირსეულ მამულიშვილთა გვერდით, საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობის, სამეგრელოს და თბილისის აოხრების, ახალგაზრდობის მორალურად გახრწნის და ფიზიკურად განადგურების მთავარი ორგანიზატორი და მონაწილე არ უნდა განისვენებდეს. ამ წერილზე ხელის მომწერთ მიგვაჩნია, რომ ჯაბა იოსელიანის საფლავი არ უნდა იყოს საზოგადო მოღვაწეთა საქართველოში დღეს არსებულ არც ერთ პანთეონში.**

**მისი ნეშტის დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ყოფნა არის ქართული საზოგადოებისათვის სრულიად მიუღებელი აქტი, იმ დიდი ფიზიკური და მორალური ზარალის გამო, რაც იოსელიანმა და მისმა იდეურმა თანამოაზრეებმა საქართველოს მიაყენეს“,** — აღნიშნულია განცხადებაში და მისი ავტორები დასძენენ, რომ დიდუბის პანთეონში ჯაბა იოსელიანის დაკრძალვა ქართველი ერის ნების საწინააღმდეგოდ მოხდა.

**„მოვითხოვთ, რომ ჯაბა იოსელიანის ნეშტი დაუყოვნებლივ გადაასვენონ დიდუბის პანთეონიდან და დაიკრძალოს იქ, სადაც ამას მისი ოჯახი საჭიროდ მიიჩნევს“.**

გთავაზობთ სოციალურ ქსელში გავრცელებულ კომენტარებს:

**„ნიკა რურუა თავად მხედრიონელია და ჯაბას მიერ გახრწნილი ახალგაზრდა. თქვენც ამოგირჩევიათ რა ვის მიმართოთ!.. სტალინის დედაც მიაყოლეთ მაგ ლოგიკით, რატოა მთაწმინდაზე?“**

**„სანამ ქართველები მკვდრების ამოთხრას არ გადავეჩვევით, ჩვენი საშველი არ იქნება. ამას აკეთებდნენ კომუნისტები (გადაასვენეს მაგ.: ჯუღელი და სტალინი), მერე ძალიან ეროვნულები (ამოთხარეს ცხაკაია, თოდრია). ახლაც გინდათ, რომ გააგრძელოთ? ისტორიას რამდენჯერაც წაშლით, იმდენჯერ უარესი სახით მოგიბრუნდებათ. ისტორია უნდა გახსოვდეთ, რომ იცოდეთ, როდის რა შეგეშალათ; თორემ ასე გადათხრა-გადმოთხრით შორს ვერ გავფრინდებით! ასეა ეს!“**

**„ეს აგენტი ჯაფარიძე პედერასტია და ამით ჰყავს მერაბიშვილს ეს გარეწარი გამოჭერილი...“**

**„უნდა გადაასვენონ, ოღონდ მთაწმინდაზე. მგონი კოსტავა ჰყავთ იქ ზვიადისტებს და ვითომ ჯაბა რითი იყო კოსტავაზე ნაკლები ბიჭი? ცოცხალს ვერაფერი უქნეს ზვიადისტებმა (ისევ ედიკამ მოუღო ბოლო) და მკვდარს დასდევენ...“**

**„კოსტავა „იქ“ „ზვიადისტებს“ კი არ „ჰყავთ“, კოსტავა იქ ქართველმა ხალხმა დაკრძალა...“**

**„ვითომ ჯაბა რითი იყო კოსტავაზე ნაკლები ბიჭი?“**

**„ნუ, გადახედე ერთის და მეორის ბიოგრაფიებს და ეგებ მიხვდე - რითი...**

**ერთი იმ ტვინში ჩამახედა, სადაც ეგეთი აზრები იბადება...“**

**„ჯაბა იოსელიანის გადასვენების უფლება ამ ხელისუფლებას ნამდვილად არა აქვს. ჯერ ერთი, რომ ყოფილი მამალი მხედრიონელი კულტურის მინისტრად ჰყავს დანიშნული, მეორეც — ის საზიზღარი დანაშაულობები, რაც ჯაბა იოსელიანს აქვს ჩადენილი მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევა-დახვრეტის, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გატაცება-წამებისა და ადამიანების კერძო საკუთრების დაყაჩაღების სახით, არსებულ ხელისუფლებასაც არანაკლები აქვს ჩადენილი, თუ მეტი არა (არ მითხრათ ახლა, რომ სიმართლეს არ ვამბობ) და დამნაშავის მიერ დამნაშავის გასამართლება არათუ მიუღებელია, არამედ სასაცილოც“.**

**შეიცვლება დრო, მოვა სუფთა ხელების მქონე ხელისუფლება და მისი მმართველობის პერიოდში იქნება მიზანშეწონილი მაგ საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტა...!“**

**„და თქვენ ფიქრობთ, რომ გამსახურდიას ხელისუფლების გადამტრიალებლები, რასაც ჯაბა იოსელიანს უმადლიან, რომელთა საკმაო ნაწილი სააკაშვილის ხელისუფლებაშია რურუას, ბარამიძის, გაბაშვილების და სხვათა სახით, თქვენს ინიციატივას გაიზიარებენ? მიმართვის ადრესატში მაგრად ცდებით, ამიტომ ფუჭია თქვენი მეცადინეობა. თქვენ რომ რეალურად უსამართლობის განცდის გამო უპირისპირდებოდეთ ჯაბა იოსელიანს, მაშინ პირველ რიგში ანალოგიურად კრიმინალურ დღევანდელ ხელისუფლებასაც უნდა უპირისპირდებოდეთ, მაგრამ ვაი რომ ეგრე არ არის.“**

**„ხელისუფლებამ უნდა მიხედოს ტექნიკურ მხარეს, მეტს არაფერს ვითხოვთ. ზოგადად ასეთი საკითხი საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს და ამისთვის ვიბრძვით“.**

**„ძალიან შემცდარი ხარ, საზოგადოების აზრი სულ ფეხებზე ჰკიდიათ ამათ, თანაც გადაწყეტილება მაინც ხომ ხელისუფლებამ უნდა მიიღოს? ესენი მაგ გადაწყვეტილებას რატომაც არ მიიღებენ, ზემოთ უკვე დავწერე, თუ მიიღებენ და მაშინ გამოდის, რომ თავიანთივე გადაფურთხებული უნდა ალოკონ, რადგან ჯაბას თანამებრძოლები იყვნენ.“**

ნატა ნიბლაძე

შეფასება

# სენსაციებით სავსე გასული წელი

(მესამე გვერდიდან)

დაუნახავები — უმადურები რომ ვართ, აქაოდა საავადმყოფოები გაყიდა და გააჩუქაო, მერე რა, რომ სხვებს მიჰკერძა მილიონებად ღირებული, კომუნისტების დროს ნაგები საერთო-სახალხო საკუთრებად წოდებული შენობა-ნაგებობები? ხომ ყველამ იცის, რომ ის კომუნისტები ცუდები იყვნენ! იქ ივანიშვილის „რუსულ ფულებს“ გამოკრა ხელი, აქ ადგილობრივი ბიზნესმენები ააწიოკა ხაზინის შესავსებად და თუ ვინმე თვალში არ მოუვიდა, მერე იწყებს კირკიტს, მისი მილიონები შავია თუ თეთრი, რუსულია თუ ევროპული, სუნი აქვს თუ უსუნოა. ნუ იქექებით, ბატონებო. ინებივრეთ ახალი, მსოფლიოში საუკეთესო სტანდარტის საავადმყოფოებში, ფული ხომ ჩეჩქივით გაქვთ.

იმასაც ნუ გაიკვირვებთ, პრეზიდენტმა ერთი და იგივე საავადმყოფო ერთხელ კი არა, ორჯერ ან სამჯერაც რომ გახსნას. აბა რა ქნას, ეჩქარება. არადა, როგორც ამბობენ, თითქმის უმეტესობა ჯერ დაუმთავრებელია.

ბატონი მიშა მაშინ შემეცოდა, კახეთის ბაზარში საყიდლებზე რომ დადიოდა. ახალი მეზობლების დასაპურებლად და არ გინდა ამდენი ხორაგის შეძენა, მერე სუფრის გაშლა, მაგრამ როგორც ყოველთვის, ესეც კარგად აითვისა. საახალწლოდ ოჯახის წევრებში ბებიაც არ დავიწყნია. ასე რომ, ეგ რომ არა, ჩვენი ტელევიზიის მუშაკები რა სიუჟეტებს მოგვიმზადებდნენ, საკითხავია!

ისე, ძალიან ვინატრე, ბებია ანო სამი ობოლი შვილიშვილისთვის საახალწლოდ ბაზარში რომ წავიდა, ერთი ჟურნალისტი მაინც გაჰყოლოდა. იარა საწყალმა ქალმა, იარა და შინ ცარიელი მაინც არა, პურებით დატვირთული დაბრუნდა. რომ არა მეზობლები, რომ არა ჩვენი ტრადიციული ქართველობა, ახალ წელს ხმელა პურის ამარა შეხვდებოდნენ. არადა, რამდენი ათასი ანო ბებოა ამქვეყნად, რამდენს აქვს გადაზომილი და გადაზოგილი ფული მხოლოდ პურისთვის, ამით დაინტერესებულან ეს ჩვენი ტელევიზიები? უფრო მეტიც, რამდენი კაცი და ქალი იდგა საახლწლოდ ნაგვის ყუთთან, რის ანალოგიც ერის ისტორიაში აქამდე არ ყოფილა. სამაგიეროდ, ჩვენ ყველაზე წარმატებული ქვეყანა ვართ დედამიწის ზურგზე, გაბრწყინებულ-გალაღებულიო. ვისთვის როგორ, ჩემო იმანო, ვისთვის როგორ და გაჭირვებას გაქცეულ ათიათასობით ემიგრირებულ ქართველს სულაც არ ეამაყება ეს ბუტაფორული სიამტკბილობა, რადგან იციან, რომ თუ შეცდნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ, ისევ ის შიმშილი და თვითგადარჩენის ინსტინქტი აეშოტება და ააფორიაქებს, ასე უსაშველოდ რომ გაურბოდა მთელი სიცოცხლე. ახლა რომ ჩამოვყვე, რომ გავუტიო, სად წავალ, ან ახალს რას ვიტყვი, განა ყველამ არ იცის, რაცა გვჭირს?

ისე, ერთი ნამდვილად სასწაულებრივი სენსაცია წინ გველოდება. მომავალ ახალ წელს ბატონი მიშა მთელ ქართველობას რომ ჩახვეტავს არარსებულ ლაზიკა-ქალაქში და მსოფლიოში არნახული საახალწლო ზეიმით გაგვახარებს...

კი იწინასწარმეტყველა პოეტმა, თქვი და აღსდგნენ ქალაქები, თქვი და აღმა წავა მტკვარიო. მე კი მეგონა, ეს ლექსი ბელადზე დაიწერა, მაგრამ დღეს სულ სხვა რეალობის მოწმე ვარ და... მტკვრის აღმა წასვლაზე გამახსენდა. თურმე ესეც შესაძლებელი ყოფილა ამ მთავრობისთვის და ამასაც თუ მოგვასწრო, მაშინ მთლად მტკვარსგასაყოლებელნი გავმხდარვართ და ეგაა.

ნახევარმილიონიანი ლაზიკას გახსნამდე იმდენი პიარ-აქცია, იმდენი კონცერტი, იმდენი დამაშვრალ-დამონებულთა ყურების გამოფხეკა-გამოლვიძება, სხვათა და სხვათა კორიანტელი მოგველის, ეშმაკი ნამდვილად ფეხს მოიტეხს და ამაში „ბრალს“ ისევ და ისევ ბატონ ბიძინა ივანიშვილს დასდებენ?

გივი ჯახუა

ინფორმაცია

## ალექსანდრე ხეთაგური - მტკვრისთვის მიმართულების შეცვლა დღის წესრიგში არ დგას

**მტკვრისთვის მიმართულების შეცვლა დღის წესრიგში არ დგას, არც საქართველოს და არც თურქეთის მხრიდან. ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა საქართველო-თურქეთის ენერგეტიკული კონფერენციის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**



**ხეთაგურის თქმით, ამ საკითხზე საქართველო თურქეთთან აქტიურად თანამშრომლობს.**

**— აქტიურად ვმუშაობთ, რათა ორივე ქვეყანამ ერთობლივი პროექტი განახორციელოს, — აღნიშნა ქართველმა მინისტრმა.**

**ამასთან, როგორც თურქეთის ენერგეტიკის მინისტრმა თანერ ილდიზმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, მტკვარს, როგორც საქართველოსთვის, ისე თურქეთისთვის დიდი დატვირთვა აქვს.**

**თურქეთის ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, ქართულ და თურქულ მხარეებს მნიშვნელოვანი შეხვედრები ჰქონდათ ამ საკითხთან დაკავშირებით და მიღებული იქნება ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ორივე ქვეყნისათვის მისაღებია.**

**— ჩვენ მივიღებთ ისეთ გადაწყვეტილებას და მოვნახავთ საშუალო გზას, რომ ამ ორმა მეგობარმა ქვეყანამ საერთო ენა გამონახოს, საერთო მიზნის მისაღწევად, — განაცხადა თურქეთის ენერგეტიკის მინისტრმა.**

**თურქეთის ტერიტორიაზე შენდება „ბეშიქ ჰაიას“ ჰესების კასკადი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ თურქეთი ამ მშენებლობის გამო მტკვრისთვის კალაპოტის შეცვლას აპირებს, რის შემდეგაც მდინარე საქართველოს ტერიტორიაზე აღარ შემოვა.**

ჯი-ეიჩ-ენი

როგორც მკითხველმა უკვე იცის, ჩვენმა გაზეთმა წამოიწყო დისკუსია, რომლის თემაა: რას ფიქრობთ ახლანდელ სივრცესა და დროში საქართველოს ბედზე და როგორ გეოცნებებათ „ქართული ოცნება?“ დისკუსიის პირველ მასალად 18 იანვარს გამოვაქვეყნეთ ნაირა გელაშვილის ვრცელი წერილი, რომელსაც საფუძვლად დაედო შარშან 11 დეკემბერს „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე მწერლის გამოსვლა. დღეს გთავაზობთ რატი ამაღლობელის წერილს, რომელსაც ასევე პოეტის 11 დეკემბრის გამოსვლა დაედო საფუძვლად.

იმედია, დისკუსიაში ფართოდ ჩაებმებიან ჩვენი მწერლები, ჟურნალისტები, პუბლიცისტები, პოლიტოლოგები, საზოგადო მოღვაწეები, ყველა, ვისაც უტყუარი თავისუფლება და სამშობლოს უკეთესი მომავალი სწყურია, პოეტის თქმის არ იყოს, ვით დაჭრილ ირმების ჯოგს წყარო ანკარა...

ველით თქვენს მოსაზრებებს, ძვირფასო მეგობრებო!..



# საქართველოში სამართალი უნდა დავაბრუნოთ, და ეს ყველამ ერთად უნდა შევძლოთ!

ყველაზე დიდი ძალა საქართველოში იყო და იქნება საზოგადოება. საზოგადოების გარშემო ტრიალებს ყველაფერი მნიშვნელოვანი ევროპულ სახელმწიფოებში, ევროპულ ქვეყნებში. რატომ ვართ აქ? მე, მაგალითად, პირველად მიწევს ასეთ ფორმატში, ასეთ კონტექსტში გამოსვლა. ბუნებრივია, რომ მიზეზი იმისა, თუ რატომ ვართ ჩვენ აქ, ყველას დამოუკიდებელი გვაქვს, ყველას განსხვავებული გვაქვს, მაგრამ არის მთავარი, რაშიც ჩვენ შევთანხმდებით, რაზეც უნდა შეთანხმდეს ქართველი საზოგადოება.

ჩემს პირად განცდას გეტყვით, და ეს განცდა, ბუნებრივია, ასახა შექსპირმა თავის „ჰამლეტში“. სამშობლოში დაბრუნებული ჰამლეტი გრძნობს რაღაც სუნს, არასწორს, არამართებულს, არაჯანსაღს, არაჯანმრთელს... რაღაც დალპა დანიაშიო, – ის ამბობს. ეს შმორის სუნი იგრძნობა, ეს არის მძიმე და ამ რეალობას უნდა გავუსწოროთ თითოეულმა ჩვენგანმა თვალი. მთავარი ამოცანა არის საზოგადოებრივი აზრის, განსხვავებული ადამიანების აზრის კონსოლიდაცია. ჩემი იდეალი, ჩემი ოცნება ეს არის განსხვავებულთა ერთობა, დავინახო საქართველო, როგორც განსხვავებულთა ერთობა, განსხვავებულთა შეთანხმება. დღეს ყველაზე მეტად უჭირს განსხვავებულ აზრს საქართველოში. სწორედ განსხვავებული აზრი არის პროგრესის მამოძრავებელი იმპულსი, რისკენაც მიდის თანამედროვე კაცობრიობა.



ნაცვლად განსხვავებული აზრისა, ჩვენ გვაქვს ხელისუფლების დაშტამპული, ერთფეროვანი, უსახო აზროვნება. ჩვენ, ქართველმა საზოგადოებრიობამ უნდა დავუპირისპიროთ არსებულ რეალობას ჩვენი მრავალფეროვნება, ჩვენი ღიაობა, ჩვენი გახსნილობა და ჩვენი განსხვავებულობა ამავე დროს. ეს არის მნიშვნელოვანი, რაც ქართველ საზოგადოებას გააჩნდა, გააჩნია და ამით ის მიაღწევს გარკვეულ წარმატებას და პროგრესს.

მე ამის მჯერა. გაჩნდა იმედი, დღეს გაჩნდა იმედი, რომ ახლა ხდება ქართული ოცნება.

რა არის ქართული ოცნება? აქ მრავალი შეიძლება ვისაუბროთ, ბევრი შეიძლება ვისაუბროთ, ეს დაუსრულებელი თემაა.

მე სულ ვფიქრობდი, რომ როდესაც დაიწყო ილია ჭავჭავაძემ მოღვაწეობა, მან დააარსა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, მოჰკიდა საბანკო საქმეს ხელი, ის იყო მწერალი, პუბლიცისტი, პოეტი, შემოქმედი, ბანკირი, ბოლოს, დეპუტატიც, სხვათა შორის, რუსეთის დუმის წევრი...

მან თავისი საქმიანობით, რეალური საქმიანობით, და, ამავე დროს რეალური ოცნებით გვიგულისხმა ჩვენ. ილია ჭავჭავაძე თავისი საქმეებით, თავისი აზრებით, თავისი სიცოცხლით, რომელიც მან, ასე ვთქვათ, გაიღო, დღესაც გვგულისხმობს ჩვენ. ყოველი მისი საქმე, ყოველი მისი აზრი გვგულისხმობს ჩვენ და ქართველ საზოგადოებას.

ჩვენ 500 წელიწადია, სახელმწიფო ვერ შევქმენით, ისეთი, როგორც ჯერ არს, ისეთი, როგორიც აუცილებელია, რომ შევქმნათ და როგორიც ეკუთვნის ქართველ საზოგადოებას – გახსნილი, ღია, ჯანმრთელი, თავისუფალი და ადამიანზე ორიენტირებული... მთავარი ღირებულება ამ საზოგადოებისა არის ადამიანი. ადამიანზე მეტი ღირებულება ღმერთსაც არ შეუქმნია, და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. უნდა დავაბრუნოთ საქართველოში მთავარი ღირებულება. ჩვენი საქმეების მიზანი არის ადამიანი!

და მთელმა ქართველმა საზოგადოებამ უნდა თქვას, რომ არ მოხდება ძალაუფლების, ხელისუფლების, საზოგადოებრივი სიკეთეების, რაც ეკუთვნის ადამიანს, მიტაცება, რაც ხდება წლების განმავლობაში. გეგმაზომიერად ხდება, და ის, რითაც განსხვავდებოდა ქართველი საზოგადოება, ეს იყო მისი ღიაობა, გახსნილობა, მისი თავისუფლება, მისი სილაღე, მისი ნიჭიერება. აი, ყველაფერი ეს, ასე ვთქვათ, მიდის ლპობისკენ. მე ეს განცდა მაქვს.

ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ ახლა ილია ჭავჭავაძე. ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ, რადგან არც ერთ ჩვენს მოქმედებაში, ისტორიის არც ერთ ჩვენს მოქმედებაში, რაც ილია ჭავჭავაძის შემდეგ საქართველოში ხდება, მთლიანად ქართველმა საზოგადოებამ არცერთხელ არ იგულისხმა ილია ჭავჭავაძე. დღეს უნდა ვიგულისხმოთ ჩვენ ის, და ვიგულისხმოთ ასევე ჩვენი მომავალი, ანუ მოვახდინოთ გარკვეული ხედვის განმაღლება, ხედვის ოპერაცია, დიდ დროში შევხედოთ ჩვენს თავს, რა გამოწვევის წინაშე ვდგავართ დღეს ჩვენ, რა გამოწვევის წინაშე დგას მთლიანად ქართველი საზოგადოება.

ეს არის ის, რომ მომავალ თაობას, მთლიანად ქართველ საზოგადოებას ჰქონდეს მომავლის იმედი. ჰქონდეს ეს იმედი გაცნობიერებული, ეს არ იყოს აბსტრაქტული. ეს არ იყოს ილუზორული.

და ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს, გარდა დემოკრატიისა, გარდა სამართლიანობისა. როდესაც ბოლო გამოკითხვები ვნახე, მთავარი არის უმუშევრობა. ქართველ საზოგადოებას და მთელ საქართველოს აწუხებს უმუშევრობა, მაგრამ ვერ იქნება უმუშევრობა დაძლეული, თუ უსამართლო ქვეყანაში ვიცხოვრებთ. ყველაფრის საწინდარი ამ ქვეყანაში არის სამართლიანობა, სამართლებრივი სახელმწიფო და სამართლიანი სახელმწიფო! სამართლიანი სახელმწიფოს უქონლად შეუძლებელია პროგრესი, ეს არის ქვაკუთხედი ჩვენი მოძრაობის.

ბუნებრივია, ჩვენ – ყველანი ვართ რიგითი წევრები საზოგადოებისა, და ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ თითოეული მოქალაქის აქტიურობას, საკუთარი დანიშნულების გაცნობიერებას, საკუთარი არსებობის გაცნობიერებას.

ჩემი საყვარელი გერმანელი ფილოსოფოსი ფიხტე ამბობდა, შეუძლებელია, რომ გერმანელად დაიბადოო, შენ ყოველდღე უნდა გახდე გერმანელიო.

შეუძლებელია ასევე მხოლოდ ადამიანად დაბადება. ადამიანობა, მოქალაქეობა და საქართველოს მოქალაქეობა არ არის ეს ინერცია, ეს არის ყოველდღიური პასუხისმგებლობა. აი, ეს პასუხისმგებლობა უნდა დავაბრუნოთ ქართულ ოცნებასთან ერთად საქართველოში.

თითოეული მოქალაქე უნდა იყოს აღვსებული ამ პასუხისმგებლობით და საქართველოში უნდა დაბრუნდეს თითოეული მოქალაქე, – მის სამართლებრივ სივრცეში, მის კონსტიტუციურ სივრცეში. ჩვენ, ყველამ ერთად უნდა შევქმნათ სამართლებრივი სახელმწიფო, ყველამ ერთად, და შევიდეთ კონსტიტუციურ სივრცეში. სამართალი უნდა დავაბრუნოთ! და ეს ყველამ ერთად უნდა შევძლოთ!

და მე მიხარია, რომ განსხვავებული ადამიანები შევთანხმდებით ამაზე. მე მჯერა, რომ ამაზე შევთანხმდებით და ჩვენ ყოველდღიურად მოვიპოვებთ ადამიანობის, თავისუფალი ადამიანობის სახელდების უფლებას.

ჩვენ ვიქნებით თავისუფალი ადამიანები, საქართველოს მოქალაქეები.

**რატი ამაღლობელი,**
პოეტი



ქველმოქმედება



— საქართველოში ჩემი ამჟამინდელი ჩამოსვლის მიზანია, ტელევიზიების, პრესკონფერენციების, გაზეთების მეშვეობით, მივაღწიოთ იმას, რომ მოსახლეობამ გაიგოს ამ პროექტის დაწყების თაობაზე.

ცოტა ხნის წინათ, „ავერსის" კლინიკის მიმდებარე რაიონში ცნობარი დავარიგეთ და მხოლოდ 7 ავადმყოფი მოვიდა. დავინტერესდით და მოსახლეობას დავურეკეთ, ვკითხეთ, რატომ არ სურდათ პროექტით სარგებლობა? მათ გვიპასუხეს, რომ უნდობლად არიან განწყობილნი, „ავერსს" წამლების გასაღება უნდა, ამ ქვეყანაში უფასოდ ვინ რას მოგცემსო?!

საქართველოს მოსახლეობას უნდა განვუმარტოთ, რომ ფულის მოგებას არავინ აპირებს და ვინც ჩვენთან იმკურნალებს, კვალიფიციურ მომსახურებას გაუწევენ.

**— რამდენ წელს მოიცავს პროექტი და სად უნდა მივიდნენ პაციენტები?**

— პაციენტებმა უნდა მიმართონ „ავერსის" კლინიკას (ვაჟა-ფშაველას 27 ბ), „ავერსის" საინფორმაციო სამსახურის ტელეფონზე იკითხონ „თავის ტკივილის პროექტი" და ჩაეწერონ. ჩვენი კონცენტრირებული აქციის შემდეგ, იმედია, კლინიკაში მრავალი ადამიანი მოვა.

აქვე გარკვევით უნდა აღვნიშნოთ, რომ სასწაულს არ ვახდენთ. ჩვენ მოსახლეობას ვპირდებით პროფესიულ დამოკიდებულებას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას. ეს ავადმყოფისგან გარკვეული რეჟიმის დაცვას მოითხოვს, რათა დანიშნული მკურნალობის ეფექტი ჩაწეროს დღიურში. მკურნალობიდან ერთი თვის შემდეგ განმეორებით მოვიდეს, აცნობოს ექიმს, შედეგი მიიღო თუ არა... ექიმთან მისვლის ქართული ტენდენცია, — ექიმთან ერთხელ მივალ, ის რაღაცას მომცემს და მერე არაფერი მეტკინება, გაუმართლებელია ამ საქმეში... აუცილებელია რეგულარული მკურნალობა. პროექტი იმდენ ხანს იქნება, სანამ რესურსი არ ამოიწურება, რესურსი კი რამდენიმე ათასი ავადმყოფისთვის საკმარისი იქნება.

**— თავის ტკივილს სერიოზულ დაავადებად არ მიიჩნევენ. როგორია მისი სიხშირე საქართველოში?**

— ამ დაავადების სიხშირე ისეთივეა საქართველოში, როგორც მთელს მსოფლიოში. საქმე ისაა, რომ საქართველოში ათი წლის წინათ არანაირი ყურადღება არ ექცეოდა. ახლაც ასეა — ხალხი თავის ტკივილს სერიოზულ დაავადებად არ მიიჩნევს, აი, ინსულტს — წყლულს, ონკოლოგიურ დაავადებებს კი გამორჩეულ ყურადღებას უთმობს.

რა თქმა უნდა, შაკიკი ადამიანს არ მოკლავს, მაგრამ თუ 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ, საკუთარ თავს ცივილიზებულ ხალხად მივიჩნევთ, მისი მკურნალობა ამის ერთ-ერთი ნიშანია. 20 წლის წინათ შაკიკის მკურნალობის საშუალება არ არსებობდა. ახლა, თუ ავადმყოფი ექიმს მიმართავს და მისი დიაგნოსტიკა სწორად ჩატარდება, ძალზე ეფექტიანი წამლებიც არსებობს.

**— ბატონო ზაზა, პროექტში ვინ არის ჩართული? ვგულისხმობ ექიმებს.**

— „ავერსის" კლინიკის ექიმებმა ჩემთან, ესენის უნივერსიტეტში გაიარეს სტაჟირება, მომზადებულნი არიან და იციან, როგორ გაუძღვნენ საქმეს. ასევე მოვიწვიე ექიმები ხეჩინაშვილის კლინიკიდან — მაკა კუკავა, ანა ძაგნიძე, რომლებმაც სამი წლის განმავლობაში ესენის უნივერსიტეტში იმუშავეს. საუკეთესოდ შეისწავლეს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდები.

**— როდის დაიბადა თქვენი ეს ინიციატივა და უშუალოდ ვისთან ერთად აპირებთ პროექტის განხორციელებას?**

— რასაც ვამბობ და ვაკეთებ, ათწლიანი ნამუშევრის ნაყოფია. პირველად 2004 წელს, დიდი ძალისხმევის შედეგად, მოვახერხე და საფუძვლიანი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა საქართველოში, რასაც რეზონანსი მოჰყვა და რამდენიმე ადამიანი დაინტერესდა. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, მაკა კუკავა და ანა ძაგნიძე დიდი ხნით იყვნენ ესენში ჩამოსულნი. ამის გარდა, ჩვენთან არიან ცნობილი ნევროლოგები: გიორგი ჩახავა (კლინიკაშიძ, გიორგი გეგელაშვილთან ერთად წიგნიც გამოვეცი.

მოვიპოვე 20 ათასი ევრო, რომ საქართველოში ეპიდემიური კვლევა მეწარმოებინა. 2 ათასი ადამიანი გამოვიკვლიეთ თბილისსა და კახეთში, დაავადების სიხშირის გასაზომად. ისიც გამოიკითხა, ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, რამდენი ფულის გადახდა შეუძლიათ... ამის შემდეგ მოვახერხე ფულის თუ წამლების მობილიზაცია: სათქმელად ადვილია, მაგრამ პროექტის დაწყებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა. რეალურად ეს არის 150 ათასი ტაბლეტი ასპირინი, 20 ათასი ტაბლეტი სუმატრიპტანი, გარკვეული რაოდენობის ფული, რომლებიც ხელფასად გადაეხდებათ ექიმებს, მონაცემების ბაზის შექმნა — წამლების ჩამოტანა, განბაჟება, დაფასოება, დარიგება... ეს ყველაფერი „ავერსმა" ითავა".

ვინაიდან ჩემი სამეცნიერო ფოკუსი თავის ტკივილია და ამ თემაზე დავიცავი სადოქტორო დისერტაცია გერმანიაში, გავხდი პროფესორი, ვარ თავის ტკივილის ევროპის ფედერაციის გენერალური მდივანი, ამდენად ხელი მიმიწვდებოდა ფინანსურ რესურსებზე, მქონდა გავლენა, რომ ფარმაცევტული კომპანიები დამეინტერესებინა და მეთხოვა მათთვის, ჩემს ქვეყანას დახმარებოდნენ.

გერმანულმა „ბაიერმა", ისლანდიურ-ინგლისურმა კომპანია „აქტავისმა" გვაჩუქეს ტაბლეტები, ლოკალურმა კომპანია „ავერსმა" ამ პროექტს უსასყიდლოდ გადასცა თავისი წარმოებისა თუ უცხოეთიდან შემოტანილი წამლები. იგულისხმება დაახლოებით 10-15 სახეობის წამალი.

ვფიქრობ, ასეთი საქველმოქმედო პროექტი თავის ტკივილის სფეროში ჯერ არ განხორციელებულა, — ავადმყოფებს უფასოდ შესთავაზონ ყველაფერი წამლების ჩათვლით.

**ცნობისთვის: ბატონმა ზაზა ქაცარავამ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, ფიზიოლოგიის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1996 წელს მოიგო DAAD-ის — გერმანული აკადემიური სამსახურის სტიპენდია და მას შემდეგ გერმანიაშია. 2006 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ესენის უნივერსიტეტის სრული პროფესორი გახდა, იმავდროულად კლინიკური სერთიფიკატები აიღო ნეირორეანიმატოლოგიაში, ტკივილის თერაპიაში, ჰყავს მეუღლე — პროფესიით ექიმი ეკა ხვინგია, შვილები: 8 წლის ტყუპები, ნელი და მარი ქაცარავები. დიუსერდორფში ქართული ეკლესიის მრევლია.**

**ზაზას ძმა — გიგლა ქაცარავა პიანისტია, პარიზის კონსერვატორიის პროფესორი, მამა — რამაზ ქაცარავა, ინჟინერ-მშენებელია, დედა — ნანული შუბლაძე, ექიმი.**

**...ქალბატონებო და ბატონებო, ეს პროექტი თქვენთვისაა, გვეუბნება ტელეეკრანიდან ზაზა ქაცარავა. და სასიხარულოა, რომ ტელევიზიით მისი პირველივე ინტერვიუს შემდეგ 500-ზე მეტმა პაციენტმა დარეკა „ავერსის" კლინიკაში. ეს უკვე ნიშნავს, რომ ქართველი ექიმის ქველმოქმედების მიმართ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ნდობით განეწყო... ნდობა კი საქმის ნახევარია.**

**თამარ შაიშმელაშვილი**